ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6572507

ნომერი: AR1977645

თარიღი : 11.07.2023

გაცემის თარიღი : 20.07.2023

გაცნობის თარიღი : 20.07.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეფე სოლომონ II-ის ქუჩა , N 6 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა კრწანისი , N 3 ; ქალაქი თბილისი , მეფე სოლომონ II-ის ქუჩა , N 4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან გოროზია პ/ნ 62001041576
- სოხუმი ქუთაისის ქ. N 41

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 ივნისის №6535803 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის

11 ივლისს №AR1977645 განცხადებით მომართა ლევან გოროზიამ და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 29 ივნისის №6535803 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 ივნისის №6535803 ბრძანებით №01.18.06.006.311 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა უმაღლესი სასწავლებელის რეკონსტრუქციის (მიშენება ან მიშენება - დაშენება) არქიტექტურული პროექტი.
სამსახურში ასევე ფიქსირდება 2023 წლის 04 ივლისის №AR1976143 განცხადება ზემოაღნიშნული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის (არსებული) კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის ველში შეცდომით არის შეყვანილი მხოლოდ სარეკონტრუქციო შენობა-ნაგებობის (შენობა №2, არსებული) ფართობი და არ არის დაანგარიშებული მიწის ნაკვეთზე მდებარე სხვა შენობა-ნაგებობის კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი. ხოლო, პროექტირების შედეგად მიღებული კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის ველში მითითებულია სარეკონტრუქციო შენობა-ნაგებობის (შენობა №2), სხვა არსებული შენობა-ნაგებობების და პროექტირების შედეგად წარმოქმნილი საპროექტო ფართის (1010.2 კვ.მ.) დაჯამებით მიღებული მაჩვენებელი. აქედან გამომდინარე, ითხოვს კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის ველში 2998.43 კვ.მ-ის ნაცვლად დააფიქსირდეს 4878 კვ.მ. ხოლო, პროექტირების შედეგად მიღებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებში 5888.1 კვ.მ-ის ნაცვლად 5888.2 კვ.მ.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 29 ივნისის №6535803 ბრძანებაში სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის (არსებული) კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის ველში მაჩვენებლები არასწორადაა მითითებული. წარმოდგენილი კროკების შესაბამისად, არსებული შენობების კ2 კოეფიციენტის ჯამი შეადგენს 4878 კვ.მ-ს. ამასთან, წარმოდგენილი კროკებისა და განმარტების შესაბამისად, საპროექტო კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი შეადგენს 1010.2 კვ.მ-ს. შესაბამისად, პროექტირების შედეგად მიღებული კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი შეადგენს 5888.2 კვ.მ-ს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 ივნისის №6535803 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 ივნისის №6535803 ბრძანებაში და არსებული კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში) ველში დაფისირდეს 4878/5469=0.9, პროექტირების შედეგად მიღებული კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში) ველში 58882.2/5469=1.1.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 ივნისის №6535803 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 ივნისის №6535803 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.